## ხელშეკრულება № 6

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

3.11.2011წ.

### *1. ხელშეკრულების დადების ადგილი და დრო*

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ქ. თბილისში, 2011 წლის 3 ნოემბერი და ძალაშია 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

### *2. ხელშეკრულების მხარეთა იურიდიული სტატუსი*

2.1. ხელშეკრულების მხარეები არიან :
ერთის მხრივ ი/მ « «მანანა წერეთელი » წარმოდგენილი მანანა წერეთლის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) და მეორეს მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქ. თბილისის №62 საჯარო სკოლა, მისი დირექტორის **თამარ მალაზონიას** სახით (შემდგომში „შემსყიდველი“).

### *3. ხელშეკრულების საგანი*

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი ყიდის, ხოლო შემსყიდველი ყიდულობს მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებულ მაღალი ხარისხის საოფისე და სამეურნეო მასალების მომსახურებას (შემდგომში « საქონელი » ). საქონლის ჩამონათვალი ფასების მითითებით წარმოდგენილი იქნება სასაქონლო ზედდებულის მიხედვით, რომელიც ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია;
3.2. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის საქონლის მიწოდება ხორციელდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შემსყიდველის შეკვეთის საფუძველზე. ყოველი კონკრეტული შეკვეთა მოხდება მიმწოდებლის მიერ მოწოდებული « ინვოისის » საფუძველზე, რომელიც შედგენილი იქნება შემსყიდველის მიერ მომზადებული მოთხოვნის საფუძველზე. საქონლის მიწოდება ხდება შეკვეთის მიღებიდან 24 სთ-ის მანძილზე.

### *4. საქონლის მიღება-ჩაბარება*

4.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
4.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით;
4.3. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებული საქონლისათვის;
4.4. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;
4.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

## 5. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1. საქონლის მიწოდება შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების 3.2. პუნქტში გათვალისწინებული შეკვეთის ფორმით განსაზღვრულ ვადაში და ადგილზე.

## 6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი არ გამოავლენს დეფექტებს. მიწოდებულ საქონელი შესაბამისობაშია სტანდარტებთან;
6.2 ამ გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების დაწყების დღიდან მისი მოქმედების განმავლობაში;
6.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;
6.4 გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

## 7. ანგარიშსწორება

7.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს *200* ლარს.
7.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედდებულის წარდგენის საფუძველზე. მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, არაუგვიანეს 7 (შვიდი) საბანკო დღის ვადაში;
7.3 ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;
7.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში;
7.5 ანგარიშსწორების ადგილია ქ. თბილისი.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს
პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე
ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;
8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;
9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას;
10..2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ქ. თბილისის მერიის მიერ შესასრულებელი მომსახურებისათვის გამოყოფილი თანხის შეკვეცით, დროულად არ გადახდით, ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;
10..3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქ. თბილისის სსიპ **№62** საჯარო სკოლა
მისამართი : შარტავას №20
ბანკის დასახელება სს ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი: 220101480
საიდენტიფიკაციო კოდი: 211351605
ა/ა: № GE31LB0121134002649000
ტელ: 237 12 75

დირექტორი

თ. ჩალაზონია

მიმწოდებელი:

ი/მ „მანანა წერეთელი"
ს.ს. „თიბისი ბანკი" ვაკე შავველას გამზ. ს/ც
ბანკის კოდი: TBCBGE 22
ა/ა GE 29 TB73 1053 6010 1000 02
საიდენტიფიკაციო კოდი: 01017031090
მის :ქ.თბილისი,აეროსთა- ხოშტარიას ქ. 1/3
ტელ : 568 65 12 28 ; 597 33 55 60

მ. წერეთელი